საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1629 2016 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფუძნებული შპს „პერსპექტივას“ მიერ მსჯავრდებულთა შრომის შედეგად წარმოებული პროდუქციის დასამზადებლად საჭირო საქონლის (ნედლეული, მაკომპლექტებელი ნაწილები - დეტალები და სხვა)/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფუძნებულმა შპს „პერსპექტივამ“ (ს/კ: 404924276), „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შრომის შედეგად წარმოებული პროდუქციის/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის №473 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მსჯავრდებულთა შრომის შედეგად წარმოებული

პროდუქციის დასამზადებლად საჭირო საქონლის (ნედლეული, მაკომპლექტებელი ნაწილები - დეტალები და სხვა)/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, 2016 წლის განმავლობაში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, არა უმეტეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**